

ბრძანება
№3/38
26.03.2009

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. “საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის – “ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2006 წ. №9, ნაწ. IV, მუხ. 3819) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

დანართში შეტანილი რიგითი ნომერი 3819 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – “კ. გამსახურდიას ქ.№23”

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ.თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

მინისტრის პირველი მოადგილე

დავით ცხადაძე